მაია კობიაშვილი
სსიპ თბილისის 144-ე საჯარო სკოლა
თბილისი, საქართველო
Maia kobiashvili@mail.ru
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.47

გალაკტიონი ცენზურის გარეშე და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი

ტოტალიტარულმა რეჟიმმა, როგორც ძალადობრივი მმართველობის ფორმამ, მსხვერპლად აქცია მრავალი მწერალი. 20-30-იანი წლების იდეოლოგიამ, ფაქტობრივად, აღკვეთა შემოქმედებითი თავისუფლება. ბოლშევიკური წყობის მესაჭეთა გამალებული კარნახით მიმდინარეობდა მოაზროვნეთა ზომბირება. ამ ფონზე შექმნილი მწერლობაც და მწერალთა ცხოვრებაც სერიოზულ კვლევას საჭიროებს.

მწერალთა ფსიქოლოგიური გარდაქმნების სურათს, ცხადია, იძლევა ნაწარმოებები, მაგრამ მათი ფსიქოლოგიური პორტრეტების კვლევისთვის უმნიშვნელოვანესია უბის წიგნაკების ჩანაწერები, თანამედროვეთა მოგონებები, მოკლედ, ის, რაც გადაურჩა ბოლშევიკურ ცენზურას. ამ ჩანაწერებიდან და მოგონებებიდან იკვეთება მათი განწყობილება რეჟიმისა და რეჟიმის მსახურთა მიმართ, რაც აადვილებს გარკვეული დასკვნების გაკეთებას.

თ.დოიაშვილისა და ნ.სიხარულიძის მიერ გამოცემული (2022წ)წიგნი ,,გალაკტიონი უცენზუროდ“ გვაცნობს გალაკტიონ ტაბიძის შინაგან ბუნებას, არაერთ ჩანაწერში იკვეთება მწერლის ხასიათი, განწყობა და პოზიცია ეპოქისა და ,,კოლეგების“ მიმართ. წიგნი ერთგვარ ნათელს ჰფენს ჩემს წიგნში, ,,საბჭოთა რეფლექსიები 1921-1940 წლების ქართულ მწერლობაში“, გალაკტიონზე გამოთქმულ ვარაუდებსა და შეხედულებებს.

ნაშრომი საინტერესო გამოხმაურებაა წიგნისა ,,გალაკტიონი უცენზუროდ“.

ყველასთვის ნათელია, რა და ვის ბედს გაიზიარებდა ხელოვანი, რომელიც საბჭოთა ინდუსტრიაში თავის წვლილს არ შეიტანდა. დითირამბები ლენინის, სტალინის, ქარხნის, დაზგის, ტრაქტორის, კოლმეურნეობის, მუშური სოფლის მიმართ, იყო საშვი მწერლობაში ადგილის დასამკვიდრებლად. ასეც იქცეოდნენ. თუმცა აღნიშნულმა პროცესებმა იმსხვერპლა შემოქმედებითი თავისუფლება და მწერლები ნებით, ძალდატანებითა თუ მერყევი განწყობით ამღერდნენ ისე, როგორც იდეოლოგიური აგიტატურა მოითხოვდა. ამღერდნენ წლობით, აშკარად. მათი შემოქმედება იქცა ტრიბუნად მუშათა არმიებისთვის.

კომპრომისმა შემოქმედთა ახალი ტიპი წარმოშვა. გასაგები რიტორიკის გამო ისინი საზოგადოებამ ლამის ,,წმინდანებად“ გამოაცხადა, გამომდინარე მათი მსხვერპლიდან, რაც, სწორედ შემოქმედებითი თავისუფლების მარწუხებმა, იძულებითმა მოტივებმა განაპირობა. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ არა მხოლოდ პროცესს, პროცესის ფონს, არამედ შედეგებსაც. ,,პრინციპების ღალატი“ - ასეთი შეფასება არც თანადროულ და არც თანამედროვე საზოგადოებას არ მოსწონს. თუმცა, არც უამისობა იყო. მაგალითად, სოსო სიგუა ასე აფასებს გალაკტიონის საბჭოეთთან დამოკიდებულებას: ,,მუდმივმა შიშმა და ახლობელთა ტერორმა გალაკტიონი ბოლშევიკების აპოლოგეტად აქცია და ნევროტიკად ჩამოაყალიბა, რასაც მოჰყვა მისი დიდი ტალანტის დაცემა“.[სიგუა. 2008. 162]

მწერლები დასაჯა რეჟიმმა, დახვრიტა, ნირი უცვალა... მაგრამ მსახურებას ვერ ასცდნენ. ,,დახვრიტეს ნიკოლო მიწიშვილი, თუმცა ხელისუფლებას ერთგულად ემსახურა... დემნა შენგელაია ყოველთვის ხელისუფლების ერთგული და მორჩილი იყო... მოკვდა, როგორც

შემოქმედი, არადა რატომღაც სულ რევოლუციასა და მუშათა კლასს ეტმასნებოდა... ის დაღუპა კონფორმიზმმა. ბოლშევიზმს უმღერდნენ ერთ დროს თავგადაკლული ნაციონალისტები - იოსებ გრიშაშვილი და ალექსანდრე აბაშელი და მრავალი სახელ-გვარი ტივტივებს ან იჩქმალება მიზეზთა გამო.

სოსო სიგუა ძალიან თამამად წერს: ,,გალაკტიონის პოეზიაში ბიოგრაფია არ იკითხება, ხოლო, სადაც ეპოქა ასახა, იქ დამარცხდა, როგორც ხელოვანი".

ზოგადად, ბოლშევიკების მკაფიო ხელწერაა, თან განადიდებდნენ მწერლის სახელს, თან იმგვარად თრგუნავდნენ, რომ მსაგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიამ[სიგუა. 2008. 163-164]. ვფიქრობ, პოეზიაში და ზოგადად, შემოქმედებაში, სწორედ, რომ იკითხება ბიოგრაფია. შემოქმედების მოტივები განაპირობებს მათი ცხოვრების შინაარსს და ამ შინაარსისგან ვერ გავფხეკთ, ვერ დავცლით ბიოგრაფიებს.

კრიტიკას არ შეშვენის თავის მართლების პოზაში ჩადგომა. როგორც სახარებაში, მწერლობაშიც ,,ჰო - ჰო არის და არა - არა!" აკაკი ბაქრაძის შეხედულებებთან დაპირისპირებას არ ვცდილობ, მას აქვს თავისი აზრი, ფრიად პატივსაცემი: დიქტატურის პირობებში მწერალი ,,პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით - ,,აბა ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო" [ბაქრაძე 1990;41].

ადამიანი ემოციური არსებაა. მას ან გრძნობა მართავს, ან გონება. გაბატონებული შიშის სინდრომი, დასმენათა შეუქცევადი პროცესი იდუმალების ბურუსში ხვევდა და მარად უმზეოდ ტოვებდა უამრავ სიმართლეს. როგორც აკაკი ბაქრაძე ,,მწერლობის მოთვინიერების" წინასიტყვაობაშიც ამბობს, ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებს მუქარის, შეურაცხყოფის, წამების ქვეშ ადამიანი. ვეთანხმები კრიტიკოსს, მაგრამ უბის წიგნაკები და მოგონებები, თამამ მასალას წარმოადგენს. სწორედ ისინი გვიამბობენ სიმართლეს.

ზეინაბ სარია კატეგორიულად უარყოფს გალაკტიონის ბოლშევიზმისადმი მსახურების გულწრფელობას. ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ყოველი მისი ლექსი ფაბრიკაზე, ქარხანაზე, ბელადზე, დროშაზე... მხოლოდ ცინიზმით, ირონიითაა აღსავსე. მე მაინც ვრჩები იმ აზრზე, რომ ეს მსახურება, თუნდაც გალაკტიონისებური, აბსოლუტური სიყალბე ვერ იქნება, მოგეხსენებათ, რეჟიმის მამებს გულწრფელებისაც არ სჯეროდათ, არათუ მოთამაშეებისა.

სარიას თვალსაზრისს, რომ გალაკტიონი იყო ცინიკოსი, ირონიით სავსე, ვიზიარებ. ეს პოეტისთვის იყო კრიტიკის ფორმა, რასაც შეგნებულად მიმართავდა. ეს ბუნება საოცარი სიცხადით გამოჩნდა 2022 წელს გამოცემულ თეიმურაზ დოიაშვილისა და ნათია სიხარულიძის წიგნში ,,გალაკტიონი უცენზურად". აქ ვკითხულობთ: ,,გალაკტიონმა საკუთარი პიროვნების არსებით თვისებად, გენიალურობასთან ერთად, ირონია დაასახელა" (,,ღვთაებრივი ირონია!")

ამ წიგნში ,,სხვა გალაკტიონს" ვეცნობით. ეს ,,სხვა" იკითხება, ძირითადად, მის ეპიგრამებში - ,,ღიმილიანი, ირონიული, აღშფოთებული, ზოგჯერ - ცინიკური და სკაბრეზულიც... აქვეა თავმოყრილი ნაწილი პოეტის მახვილსიტყვაობისა, რაც მისთვის თავდაცვის იარაღი იყო უხეში სინამდვილის შემოტევების წინააღმდეგ... თავის ტრაგიკულ დროში გალაკტიონმა ,,სიცილს ძალი მისცაო" - წერს წიგნის ავტორი (ავტორები).

საინტერესოა, რა იყო გალაკტიონის ირონიულობის მიზეზი, ან ვის ესხმოდა თავს? არანაკლებ მნიშვნელოვანია მის სამზერში მოხვედრილთა ცხოვრება, ასევე პოეტის ფსიქოლოგიური ხატი, თავის ტოლად და სწორად რომ არავის თვლიდა, მარტო ამიტომ არა, არამედ იმიტომაც, რა სიმართლე ინიღბება მის ირონიასა და საკაბრეზულობაში.

წიგნში ვკითხულობთ:

,,ევროპიდან დაბრუნებულ სანდრო შანშიაშვილს ქართველი საზოგადოება დიდი იმედით შესცქეროდა. კრიტიკოსებმა იგი ვაჟას მემკვიდრედ და ქართული პოეზიის განმაახლებლად შერაცხეს. ცისფერყანწელებმაც გვარიანად შეუწყვეს ხელი შანშიაშვილის განდიდებას. გალაკტიონი დუმდა...“ თუმცა ერთი ,,გამოცანით: დაარღვია დუმილი და ადრესატი შეამკო:

... დიდი მიეთ-მოეთია,
ყველგან მთხლე და ყველგან ურგი.
... გაექანა - როგორც გმირი
და დაბრუნდა როგორც ვირი“.

პოეტის ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ:

,,ხელოვნების ,,სასახლეზე“
ცა ყოველთვის იყო რუხი,
ერთმანეთის კბენა იყო
და სიტყვების რახა-რუხი“.[გვ.11-13]

ავტორები ხელოვნების სასახლეზე თუ სარკასტულ ,,სიტყვაკაზმულობაზე“ კომენტარს აკეთებენ, რომ ,,ჯერ არ გადაეკეთებინათ ,,სამგლედ და საძაღლედ“ - ბერიას ფილიალადო“. საყურადღებოა, რომ ამ ფილიალის თანამშრომლებად ირიცხებოდნენ ტიციანი, პაოლო, მიხეილ ჯავახიშვილი, გოგლა ლეონიძე, სხვა ცისფერყანწელები და თვით გალაკტიონიც.

ახალს არაფერს ვიტყვი იმით, რომ გალაკტიონი თავის სისხლსა და ხორცს - ტიციანს, თავის ყრმობისდროინდელ მეგობარ პაოლოს შემოსწყრა. მათ შორის ბზარი ,,ცისფერი ყანწების“ გამოსვლას უკავშირდება. ცისფერყანწელებთან გალაკტიონის აშკარა გამიჯვნამ შეურაცხყოფილი დატოვა პაოლო-ტიციანი და დაიწყო ერთმანეთის ტალანტების გათელვა.

გალაკტიონისადმი ცისფერყანწელთა დამოკიდებულება შეაფასა ოთარ ჩხეიძემ: ,,ცისფერყანწელებს სძულდათ გალაკტიონი“. საინტერესოა, მხოლოდ პირადი დამოკიდებულების გამო აუჯანყდა გალაკტიონი მათ, თუ მათ საქციელში იყო სხვაც რამ საეჭვო და მიუღებელი. (პირადი ანგარიშსწორების მიზეზად გამოკვეთილია ,,თავის ქალა არტისტული ყვავილებით“)[თ.დოიაშვილი 2022; 17].

,,კოლაუმ გადინადირა“ - ამ სათაურით შექმნილ წერილში ვკითხულობთ, რომ ,,ცისფერყანწელთაგან გალაკტიონისადმი სუბიექტური დამოკიდებულებით განსაკუთრებით კოლაუ ნადირაძე გამოირჩეოდა. სწორედ კოლაუმ დაუწუნა ,,არტისტულ ყვავილებს“ ,,მხატვრული სისწორე“. ავტორთა შეფასებით, ,,გალაკტიონის მიუღებლობა და გაბიაბრუების სურვილი კოლაუს თანდათან მანიად ექცაო“. ღიმილის მომგვრელია ამბავი, რომ კოლაუს საკუთარი მამის სახელის, გალაკტიონის, წარმოთქმა უჭირდა, რაც გამოწვეული იყო მისი გალაკტიონ ტაბიძისადმი აკვიატებული აგრესიით.

თავად გალაკტიონი ირონიით აღიქვამდა კოლაუს ქცევა-განწყობილებას, მის პიროვნებას და პოეტობას. შემორჩენილია წერილის ფრაგმენტი: ,,კოლაუ! მიიღეთ განდევნილი პოეტის სალამი!“

40-იან წლებში გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩამოუწერია თორმეტი ცისფერყანწელის გვარი და ექვსს, გარდაცვლილებს ხაზი აქვს გადასმული და ამას პლუს, ცოცხალ კოლაუს მიიჩნევს გარდაცვლილად! არც კოლაუ ჩამორჩა ანგარიშსწორებაში გალაკტიონს და მისი ,,ასი ლექსი“ შეურაცხყო უხამსი მინაწერებით.

ამგვარი დაპირისპირება უცნაური პოლემიკის ფორმას წარმოადგენს. ჩანს ნაკლებად კრიტიკა და მეტად ზიზღი და აგრესია.

ვერც ფუტურისტებს იტანდა გალაკტიონი. კერძოდ, ძალიან ერჩოდა სიმონ ჩიქოვანს.

თვალშისაცემია გალაკტიონის ახლობლობის ამბავი ,,ობოლ მუშასთან"(სოლომონ თავაძე, პროლეტმწერალი). თბილისზე დაწერილი ლექსის გამო შეუქია:

,,გაცოცხლოს, ჩემო სოლომან,
ხმისა შენისა სოლომან!" [გვ.24]

გალაკტიონი ამ პროლეტარ მწერალთან უფრთხილდებოდა ურთიერთობას: ,,წუხდა...რომ გაიგოს, დავკარგავ ამ კაცის ჩემდამი კარგ, მეგობრულ დამოკიდებულებასო".

პოეტის ჩანაწერებიდან ყურადღებას იქცევს მისი სიფრთხილე და წინდახედულების განცდა ,,სისულელის წამოცდენაზე":

,,არვინ გაცმევს ჯვარზე
მხოლოდ იმის გამო,
რომ არ იცი მარქსი,
რომ არ გახსოვს კამო!
ვის არ უთქვამს ღელე
და ლაჟვარდი ღამე,
მხოლოდ სისულელე
არ წამოგცდეს რამე". [გვ.77]

როგორც ავტორები გვიამბობენ, ,,სისულელედ, უპატიებელ ცოდვად ბელადის - სტალინის, მისი სიტყვისა და საქმის აუგად ხსენება, კრიტიკა ითვლებოდა და დამნაშავეს ჯვარცმა არ ასცდებოდაო".

ვეთანხმები რიგ კრიტიკოსთა შეფასებას, რომ გალაკტიონი ცინიკოსი პიროვნება იყო. მისი ცინიზმის, სარკაზმისა და ირონიის სამიზნე იყო ეპოქის გამოწვევები, საბჭოთა რეჟიმის მომღერლები, ყველას ამრეზით უყურებდა, რადგან მხოლოდ საკუთარ ნიჭს თვლიდა ზებუნებრივად. მაინც დამაფიქრებელია მისი სიფრთხილე, რატომ ასხამდა ხოტბას სტალინსა და მის იდეოლოგიას თუნდაც ,,უცენზურად". ლექსი 30-იან წლებშია დაწერილი და დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული:

,,აქ მთავარია ის, რაზედაც ჩუმად არიან,
.....
რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ...
ჩვენ მხარე გვაქვსო უმაღლესი თავისუფლების
გაიძახიან, თან ომისკენ მიიჩქარიან,
სტყუიან, რაზეც აქ ხმამაღლა გაიძახიან
და სიმართლეა ის, რაზედაც ჩუმად არიან". [გვ.79]

მწერალთა კავშირის წევრობა ვალდებულებაც იყო და თავშესაფარიც, იყო ალესილი მახვილზე დგომაც და მავანთა სიცოცხლის, თანაც კომფორტულის, გარანტი. თ.დოიაშვილისა და ნ. სიხარულიძის კრებულში ვკითხულობთ: ,,მწერალთა კავშირი გალაკტიონისთვის არასოდეს ყოფილა მშობლიური სახლი, შემოქმედების სავანე. ფაქიზი სულის პიროვნებას უჭირდა ჩინოვნიკ ვითომ-პოეტებთან, კარიერისტებთან, დამსმენებთან ერთ სივრცეში ყოფნა, ერთი ჰაერით სუნთქვა:

,,პრეზიდიუმი ჰაერს აყროლებს,
ნეტა სიოს ვინ გამოაქროლებს?..
ჰყვირის, გააღე ჩქარა ფანჯარა."[გვ.84]

პოეტის ,,სიმპატიები“ ხვდა პროლეტარ პოეტებს - ირაკლი აბაშიძეს და კარლო კალაძეს. მისი სკაბრეზული ხასიათის ეპიგრამები გვაფიქრებინებს, რომ გალაკტიონს საბჭოეთის მეხოტბენი არ ,,ეპიტნავებოდა“. კარლო და ირაკლი ღორებს შეიძლება ,,ჩეჩმა“ ჰგონებოდაო, ,,დონ კიხოტია ერთი, მეორე - სანჩო-პანჩო“. არ ინდობდა აკადემიკოსებს (პეტრე შარია), სიმონ ჩიქოვანს, გოგლა ლეონიძეს. (,,არ იქნება ცუდი სამვეს, გამოუჯვა გუფთა-გუფთა“). [გვ.97]

დასცინოდა, მოურიდებლად დასცინოდა ლეონიძის, გრიშაშვილის აკადემიკოსობას, პრინციპულად თვლიდა, რომ პოეტი აკადემიკოსის სტატუსს მხოლოდ გალაკტიონი იმსახურებდა. მართლაც, ხმათა უმრავლესობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად პირველი ის აირჩიეს, მაგრამ მომდევნო სხდომებზე ლეონიძე და გრიშაშვილი. მათი აკადემიკოსობა გაუკენწლავი არ დარჩა:

,,მკერდს ორდენი დეიკიდა,
და სასახლის კარებში
ჩაჯდა აკადემიკოსად
ეს კახელი კამბეჩი“ [გვ. 110]

საკითხავია, რა იყო გალაკტიონის უხამსობის, აგრესიის, უკმეხობის მიზეზი, პირველობის აკვიატებული რწმენა, თუ საბჭოთა რეჟიმთან ცივი და ფარული ომი.

რატომ გამწარდა გალაკტიონი, სტალინური პრემია ლეონიძეს რომ ხვდა წილად? წესით უნდა გახარებოდა, რადგან ,,ბელადის ბავშვობისთვის“ რომ პრემიას გასცემდა რეჟიმის ხელისუფლება, ის პრემია არ უნდა მოსურვებოდა, მით უმეტეს, რომ საქართველოს ,,პროვინციად“ და ერთადერთ გადარჩენილად საკუთარ თავს თვლიდა!

გალაკტიონის ეპიგრამები სავსეა სკაბრეზებით, რასაც ვერ დავწამებთ მის ნამზეურ პოეზიას. ამბობენ, ,,წინააღმდეგი იყო ლიტერატურაში სკაბრეზის შემოტანისა“ [წიგნის ვტორები]. ,,სულუკანასკნელ სიტყვებს“ ეძახდა. თუმცა ბევრი მას რევოლუციურ გამბედაობას მიაწერდა, გალაკტიონი ასეთი გამბედაობით არ გამოირჩევა, თუმცა სამაგიდო სამზარეულო საპირისპიროს მეტყველებს. გალაკტიონის ეპიგრამები არტახებმოშვებულია, ცენზურისგან თავისუფალი. მაინც დიდი გამბედაობაა, რადგან საბჭოეთის მარწუხები სიზმრებშიც აღწევდა.

მართალია სკაბრეზული ეპიგრამები ერთგვარ სახუმარო ჟანრადაც კი აღიქმება, მაგრამ ასეთი უხამსობა არავისგან და არავისთვისაა მისაღები. ხუმრობა ყოველთვის ეფუძნება მცირე სინამდვილეს მაინც. აქედან ის დასკვნა კეთდება, რომ მას ზოგადად, სამყარო ეპატარავებოდა, შუასკნელში საკუთარი ღირსებისა და ნიჭის სადაროს ვერავის და ვერაფერს ხედავდა. საკუთარ ფიქრებთან დარჩენილი იყო ბავშვივით ალალი, გულწრფელი და საკუთარი გონების ცენზურაშიც კი არ ატარებდა პირზე მომდგარ სიტყვას. ამ ბწკარედებმა და ეპიგრამებმა მეტად დაგვაახლოვა პოეტის ინტიმურ სამყაროსთან, იმ ფიქრებთან, რომლებსაც მხოლოდ საკუთარ თავს უმხელდა და მთავრობა ან შეგნებულად არ ქექავდა მის პირად საქაღალდეს, ან პოეტი საუკეთესოდ თამაშობდა.

წიგნში ყურადსაღებია ოთარ ჩხეიძის მოგონება, გალაკტიონის მიმართვა ახალგაზრდა პოეტებს, რომლებსაც ,,ბედნიერ თაობას“ უწოდებს, რადგან ისინი ვერ იმწვნევენ საკუთარ თავზე ტერორს, რადგან ვერ დაწერენ ,,ლურჯა ცხენებს“, ,,მე და ღამეს“ , ,,მთაწმინდის მთვარეს“.

წიგნიდან, ,,გალაკტიონი უცენზუროდ“, განსაკუთრებით დამაფიქრა წერილმა ,,მოუსყიდველნი და მოსყიდულნი“ . ავტორები თითქოს პასუხს აბრუნებენ ჩემს მონოგრაფიაში წარმოდგენილი კვლევისას გალაკტიონისადმი გამოთქმულ მოსაზრებებზე. ,,საბჭოთა რეფლექსიები 1921-1940 წლების ქართულ მწერლობაში“ თავს უყრის უამრავ ლექსს,

რომლებიც საბჭოეთისა და ბელადის დითირამბებია, თ.დოიაშვილისა და ნ.სიხარულიძის წერილში კი გარკვევით და რაფინირებულად არის გალაკტიონის პოზიციები ჩამოყალიბებული:

,,სიცოცხლის ბოლო წლებში გალაკტიონი, - ლექსებში და საჯარო გამოსვლებშიც, - სულ უფრო დაჟინებით ახსენებდა სინდისს, გმობდა სიყალბეს, პირმოთნეობას. უნიჭობაც კი უფრო მისატევებლად მიაჩნდა, ვიდრე ლიქნა და მაამებლობა:

,,გერქვას უნიჭო... მხოლოდ მლიქვნელი ნუ დაგერქმევა".

აქვე არის ეპიგრამა:

,,მაგრამ N...ის პოეზია
მდიდრად დიდგული -
მაინც იმარჯვებს,
თუმც ყალბია და მოსყიდული". [გვ.220]

სწორედ მისი ეს დამოკიდებულება ბადებს უამრავ ეჭვს, კითხვას, ინტერესს, - თავად რა განწყობა აწერინებდა სახოტბო ლექსებს. ვფიქრობ, კონტექსტიდან გამომდინარე, პარადოქსულია მისი დამოკიდებულებები თანადროული რეალობის მიმართ.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა, 1990, ,,მწერლობის მოთვინიერება", თბილისი,
2. გალაკტიონი,2009, ,,200 ამბავი", ,,არტანუჯი, თბილისი;
3. დოიაშვილი თ. სიხარულიძე ნ. 2022, ,,გალაკტიონი უცენზურად",გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი;
4. კობიაშვილი მ 2021; ,,საბჭოთა რეფლექსიები 1921-1940 წლების ქართულ მწერლობაში", გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე", თბილისი;
5. მოგონებანი გალაკტიონზე, ,,პალიტრა L", თბილისი;
6. სიგუა ს, 2008, ,,მოდერნიზმი", გამომცემლობა ,,მწერლის გაზეთი", თბილისი;
7. წოწორია თ, 2012, ,,გალაკტიონ ტაბიძის რითმა", გამომცემლობა ,,ინტელექტი", თბილისი

Maia Kobishvili
Tbilisi 141 Public school

Galaktion without censorship and his psychological portrait

Abstract

A totalitarian regime, as a form of violent governance, turned many writers into victims. The ideology of the 20s and 30s, in fact, prohibited creative freedom. thinkers were zombified by the constant dictation of the Bolshevik array's leaders. the writing created in this background and the writers' lives require serious research. Writers' products, obviously, reflect their psychological transformations, but the most important things for researching their psychological portraits are the

records of the district books, the memories of contemporaries, and briefly, those who survived the Bolshevik's censorship.

From these records and memories, their attitude towards the regime and their servants and makes stating specific conclusions easier. The book published by T.Doiashvili and N.Sikharulidze, ,,Galaktioni uncensored" (2022yr), makes us familiar with the inside nature of Galaktioni. his character is shown in many records, his frame of mind and position towards ,,colleagues". The book sheds light on expressed assumptions and views about Galaktioni in my book "Soviet Reflections in Georgian writing of 1921-1940". The work is an interesting response to the book "Galaktioni Uncensored".